

## როგორ გავხადოთ სახალისო მათემატიკის სწავლება

სასწავლო საგნების მიმართ სიყვარული მოსწავლეებს პირველ კლასშივე უყალიბდებათ. ეს სიყვარული კი დამოკიდებულია იმაზე, მოსწავლეს რამდენად სახალისოდ და საინტერესოდ მიაწვდის ინფორმაციას მასწავლებელი; რაც, თავის მხრივ იწვევს მოსწავლეთა მოტივაციისა და სწავლების დონის ამაღლებას.

პირველკლასელთათვის უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროცესში ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება. მათ უნდა გამოუმუშავდეთ აქტიურად და გულისყურით მოსმენის უნარი. შეიძლება ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ პირველკლასელს უკვე განვითარებული აქვს ყურადღებით მოსმენის უნარი, მაგრამ მას აუცილებლად სჭირდება გავარჯიშება.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეებს ჩაუტარდეთ მოსმენაზე ორიენტირებული აქტივობები. მათ წაკითხული ტექსტის მიხედვით უნდა შეძლონ გართიმული სიტყვების ამოცნობა, მიხვდნენ, ერთიმეა თუ არა ტექსტში დასახელებული სიტყვა მათ მიერ დასახელებულ სიტყვას. რითმის ცოდნა ნამდვილად არის ადრეული ფონოლოგიური უნარი. გართიმული სიტყვების ამოცნობა და დასახელება მოსწავლეებისათვის სწავლების პროცესს უფრო სახალისოს ხდის. კერძოდ, მე როგორც მათემატიკის მასწავლებელი, პირველკლასელებს ვასმენინებ ლექსებს, რომლებშიც დასახელებულ სიტყვებს ერთიმეა რიცხვები, თანაც ტექსტის შინაარსის მიხედვით მათ სჭირდებათ შეკრება - გამოკლების შესრულებაც.

გადაწყვიტე პირველკლასელებისათვის შემეთავაზებია საკუთარი ლექსები.

მოსწავლეებს ვუკითხავ ლექსებს, ყურადღებას ვამახვილებინებ სარიტმო სიტყვებსა და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე. ვესაუბრები მათ იმაზე, რომ ამ სიტყვების დაბოლოებები ერთნაირად ჟღერს, მთავრდება ერთნაირად. გამოვყოფთ გართიმულ სიტყვებს.

მაგალითისთვის გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

1. „ აბა ჩემო დათუჩა,  
გამოწიე თ-ათი...  
ხუთისა და ხუთის ჯამი  
რამდენია? (ათი)“
2. „ კალათში რომ ჩურჩხელა დევს  
ხუთი ცალი ლამაზი  
და მას ჩუმად მიეპაროს  
ცელქი ბიჭი თამაზი,  
მიიპაროს ფორთხვით,  
ამოიღოს ოთხი,  
მერე გაჩნდეს ქ-ეთი,  
მას შეხვდება ...(ერთი)“

აზროვნებისა და მახსოვრობის უნარის გასავითარებლად, გონების გასავარჯიშებლად კი მოსწავლეებს ვთვაზობ ისეთ ლექსებსაც, რომლის ტექსტის გააზრება და დამახსოვრება სჭირდებათ .

მაგალითად:

3. „ აკვარიუმს მიეპარა  
თომას წუწკი ფისო,  
ჩაუყლაპავს სამი თევზი  
ოთხიც ფსკ ერზე ზისო...  
სულ რამდენი თევზი ჰყავდა  
ჩვენ პატარა გმირსო?“
4. „ ციყვი შეძვრა ფუღუროში,  
აკნატუნა თხილი.  
ხუთი ცალი რომ შეჭამა,

მას ასტიკვდა კბილი,  
დაფიქრდით და მიპასუხეთ:  
სულ რამდენი დარჩა?  
თუ მთელი დღის სანოვაგე  
შეადგენდა ცხრა ცალს.“

მოსწავლეებს შევთავაზე, მოსმენილი ტექსტის მიხედვით შეესრულებინათ ნახატი და გამოცანა ჩაეწერათ მათემატიკური სიმბოლოებით.

მოსწავლეთათვის ასეთი ფორმით მათემატიკის სწავლება საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა. კერძოდ, ბავშვები ხალისით სწავლობდნენ შეთავაზებულ ტექსტებს, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ მეტს დაიმახსოვრებდა, ამოწმებდნენ პასუხის სისწორეს და ცდილობდნენ შეცდომა არ დაეშვათ შეკრება- გამოკლებისას.

ამ აქტივობამ ხელი შეუწყო სამი საგნის ( ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ხელოვნება) ინტეგრირებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია კომლექსური უნარების განვითარებისათვის.

სსიპ ქალაქ თბილისის #117 საჯარო სკოლის  
მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი მაია  
მეტონიძე

**გამოყენებული ლიტერატურა :** 2018-24 წლის ეროვნული სასწავლო გეგმა